საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ხარისხის ამაღლება, საზოგადოების ფართო ფენების ერთსულოვნების მოტივირებით

ს ა გ რ ა ნ ტ ო პ რ ო ე ქ ტ ი

პროექტის მიზანი და ძირითადი საფუძველი

ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ხარისხი, განპირობებული იყო მასში მონაწილე ელექტორატის ჩართულობით და რაც უფრო მეტი ამომრჩეველი მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში, მითუფრო სახელმწიფოებრივი და ლეგიტიმური გახდებოდა არჩეული სუბიექტი და შესაბამისად საარჩევნო შედეგები.

ასეთი სახელმწიფოებრივი დონის საკითხის მიღწევა კი, ავტომატურად მოითხოვდა ამ მიმართულებით გასატარებელი მკაფიო ნაბიჯების დაგეგმვასა და გადადგმას, რასაც ხელი უნდა შეეწყო საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლების მხრიდან ამ საკითხის მნიშვნელობისა და მათი პიროვნულ პასუხისგებლობის ამაღლების გათავისებას.

საარჩევნო ელექტორატის შემადგენლობაში სამწუხაროდ აქტიურად არ მონაწილეობენ ახალგაზრდობის, ქალებისა და მითუფრო მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, რაც არა ეფექტურს ხდის ზოგადად საარჩევნო შედეგებს.

ამდენად, საზოგადოების ამ ნაწილთან სამოქალაქო/საარჩევნო განათლების განვრცობა, მათში გარკვეული მოტივირების მუხტის ასამაღლებლად გახდა ჩვენი მიზანი და ჩვენი სამყაროს უმშვენიერეს ქმნილებათა - ქალთა, ახალგაზრდა თაობათა და მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ძლიერი დასაყრდენის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრებით, შევეცადეთ მათთვის კიდევ უფრო კარგად განგვემარტა, საქართველოში 2018 წლის ისტორიული მნიშვნელობის საპრეზიდენტო არჩევნების განსაკუთრებულობა.
ამისათვის დაინერგა პროექტის განხორციელება, რასაც დაერქვა:

„2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ხარისხის ამაღლება,
საზოგადოების ფართო ფენების ერთსულოვნების მოტივირებით“.

2018 წლის 1 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით ელექტორატის ზემოთ აღნიშნულ ნაწილში ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა საინფორმაციო-გაცნობითი შეხვედრები მათში სამოქალაქო/საარჩევნო თანამონაწილეობის სურვილის ასამაღლებლად და შესაბამისი განათლების ხარისხის დასამკვიდრებლად.

ჩვენი პროექტის მიზანი იყო საქართველოს არააქტიური ელექტორატის არჩევნებში ჩართვა



პროექტის განხორციელების არეალი

- ქ. მარნეული და მარნეულის სოფლები
- ქ. საგარეჯო და იორმუღანლოს სოფლები
- ლილოს ბაზრობა
- თბილისის პროფესიული კოლეჯები
- ებრაელთა სახლი

პროექტის განხორციელების კონკრეტული არეალები

- მარნეულის რაიონის სოფ. კირაჩ-მუღანლო;
- მარნეულის რაიონის სოფ. თეკალო;
- მარნეულის რაიონის სოფ. აღმამედლო;
- ქ. მარნეული;
- ქ. მარნეულის ბაზრობა;
- მარნეულის რაიონის სოფ. წითელი სოფელი;
- მარნეულის რაიონის სოფ. შაუმიანი;
- მარნეულის რაიონის სოფ. ახულარი;
- საგარეჯოს რაიონის იორმუღანლოს სოფლები;
- ქ. საგარეჯო;
- ქ. თბილისის კოლეჯი „ორიენტირი“;
- ქ. თბილისის კოლეჯი „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“;
- ქ. თბილისის კოლეჯი „ინტერ ბიზნესის აკადემია“;
- ლილოს ბაზრობა;
- ქ. თბილისის „ებრაელთა სახლი“.

სამიზნე ჯგუფები



მონაწილეთა რაოდენობა

სულ 236 ბენეფიციარი



მიწოდებული ინფორმაცია

ბენეფიციარებზე მიწოდებული იქნა ინფორმაციები:

- საქართველოს კონსტიტუციიდან,
- საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან,
- საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის კოდექსებიდან განსაზღვრული საარჩევნო პრევენციების შესახებ,
- ინფორმაციები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო კონვენციებიდან
- პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციის და ახალი კონსტიტუციით მისი ვალდებულებების ქვეყნის პრემიერზე გრადაციის თაობაზე.
- ასევე სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მოწყობის და მათი კონსტიტუციების სოციალურ-პოლიტიკური მანევრირებისა და მოქნილობის და საინტერესო საარჩევნო ისტორიების შესახებ.

ეს მასალა ელექტრონულად დაკაბადონებული და საინფორმაციო-სახელმძღვანელო ბუკლეტებად (ბროშურებად) დაბეჭდილი გადეცა, პროექტში მონაწილე ყველა ბენეფიციარს.

კირაჩ-მუღანლო

თეკალო

აღმამედლო

ქ. მარნეული

CENTER
FOR CIVIC
ENGAGEMENT

ქ. მარნეულის ბაზრობა

წითელი სოფელი

ახულარი

შაუმიანი

კოლეჯი “ორიენტირი”

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

საგარეჯოს რ-ნი იორმუღანლო

ქ. საგარეჯო

ებრაელთა სახლი

ლილოს ბაზრობა

კოლეჯი “ორიენტირი”

ბიზნეს-ტექნოლოგიების აკადემია



ინტერ-ბიზნესის აკადემია

გამოწვევები და გამოკვეთილი ინიციატივები

- მიზნის მისაღწევად დაგეგმილი გზა სრულფასოვნად იქნა განვლილი, სწორად დასახული სტრატეგიისა და შესაბამისი გადაგმული ნაბიჯების წყალობით. შესაბამისად, ჩვენი პროექტის მთავარი გამოწვევა, რომ სურვილი გვქონდა საქართველოს მოსახლეობაში ამაღლებულიყო საარჩევნო კულტურა, რაც მაღალი ხარისხის არჩევნების ჩატარებას შეუწყობდა ხელს, - პროექტის შედეგად მივაღწიეთ და მივიღეთ ის ეფექტი, რომ პროექტში მონაწილე ფართო საზოგადოების განწყობა ამაღლდა არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულებასთან დამოკიდებულებაში.

- პროექტის მსვლეობისას გამოკითხვის მიხედვით, მონაწილეთა უმეტეს ნაწილს საარჩევნო პროცსებში ჩართვის სურვილი განელებული ჰქონდა და ჩვენი პროექტის შედეგად, ყველა დამსწრე ბენეფიციარმა დაიწყო ახლებურად აზროვნება და მოქმედება. მათ გადაწყვიტეს გამხდარიყვნენ მისაბაძი და სამაგალითო იმ რეგიონში მაცხოვრებელი დანარჩენი მოქალაქეებისათვის.

- ჩვენი პროექტის შეხვედრებით დამუხტულმა ბენეფიციარებმა მიიღეს ერთი უმთავრესი გადაწყვეტილება, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავიანთ ხმას საკუთარი სინდისისა და პატიოსნების კარნახით მიაკუთვნებდნენ მათვის რჩეულ კანდიდატს.

- ეს მაგალითი ნამდვილად გადამდები გახდება და სხვა პასიური ამომრჩეველი მაგალითის ძალას დაემორჩილება. ხოლო ელექტორატის ერთსულოვნება არჩევნებში, საარჩევნო სუბიექტს მიანიჭებს მეტ პასუხისგებლობასა და ვალდებულებას, რომ თავის ამომრჩევლის მიერ მინდობილი მანდატი პირნათლად ატაროს, რაც თავისთავად ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას მოუტანს და საქართველოს მოსახლეობა მის მიერ არჩეული სახელისუფლო შტოების შემოქმედებით კმაყოფილი დარჩება.

შემაჯამებელი მუშაობა ოფისში

რაც მთავარია, მიღწეული შედეგით გამოიკვეთა ის ინიციატივა რომ, პროექტში ჩართული მოქალაქეების უმეტესი ნაწილი, ჩვენი ორგანიზაციის წევრები გახდნენ, და ჩვენი ორგანიზაციის სახელით დაინიშნენ 2018 წლის საპრეზიდენტი არჩევნებში საარჩევნო პროცესის აქტიურ დამკვირვებლებად. ამით, უპირობოდ მოგებული დარჩა როგორც ქვეყანა, ასევე ჩვენი ორგანიზაცია.

დასკვნა

- ჩვენი პროექტის ეფექტურობა განაპირობა, მასში მაღალი კვალიფიკაციის ტრენერების, თარჯიმნებისა და ექსპერტების მონაწილეობამ. მაგრამ უმეტესად მისი წარმატება ბენეფიციარების მაღალმა მოტივაციამ, მათმა ენთუზიაზმმა და მოწადინებამ გამოიწვია.

- მათ განაცხადეს რომ გახდებიან ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები და ასევე ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სხვა პროექტებშიც.

- ეს ფაქტი განაპირობებს საარჩევნო პროცესისადმი და არსებული სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი საზოგადოებაში მაღალი ნდობის დამკვიდრებას, რაც თავისთავად პროექტის მიზანს ამართლებს, ხდის მას ეფექტურს და შეფასების დადებითობის ინდექსით ფასდება.

ერთსულოვნება
საზოგადოების უფლებებისათვის
UNANIMITY
FOR PUBLIC RIGHTS

დიდი მადლობა ყურადღებისათვის!

ersaufle@yahoo.com
(+995) 577 414241